6544/3-105/21 2 28062021

6544/3-105/21
28-06-2021

გენერალურ აუდიტორს

ბატონ ერეკლე მექვაბიშვილს

ბატონო ერეკლე,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ გადმოგვცეთ ს/ს „საქართველოს რკინიგზაში“ 2016-2021 წლებში განხორციელებული აუდიტის შედეგად მომზადებული დასკვნები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ ჩარკვიანი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 011567/10

23/07/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თამარ ჩარკვიანს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2021 წლის 28 ივნისის №6544/3-105/21 წერილის (რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: №8767/01, 28.06.2021) პასუხად გაცნობებთ, რომ 2016-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სს „საქართველოს რკინიგზაში" განახორციელა 1 (ერთი) შესაბამისობის აუდიტი.

დანართი: სს „საქართველოს რკინიგზის" შესაბამისობის აუდიტის ანგარიში – 11 ფურცელი.

პატივისცემით,

ვაჟა ბრაგვაძე
ადმინისტრაციის უფროსი

ადმინისტრაცია
სახელმწიფო აუდიტის სამსახური
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-10453/21
"26" 07 2021 წ. ფურც. 12

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„22" 03 2017 წელი

ეგზ N1

სს „საქართველოს რკინიგზა"

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 15/36

2015 წლის საანგარიშო პერიოდისთვის

შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა 3

რეკომენდაციები 4

შესყიდვები 7

პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების ვადები 8

სუბკონტრაქტორების ხარჯზე მიღებული გამოცდილება 8

სხვადასხვა სახის შეუსაბამობები 9

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სს „საქართველოს რკინიგზის“ 2015 წლის შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტმა მოიცვა 521 ხელშეკრულება და 106,024,774 ლარი. სს „საქართველოს რკინიგზა“ შესყიდვებს ახორციელებს როგორც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე შესყიდვების სპეციალური წესით, რომელიც დადგენილია საქართველოს მთავრობის მიერ.

სს „საქართველოს რკინიგზის“ შესყიდვების სპეციალური წესი არ ითვალისწინებს თუ რა ვადაში უნდა იმსჯელოს სატენდერო კომისიამ, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული სრულად არ აკმაყოფილებს კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესის მოთხოვნას, შესყიდვების განხორციელებისას პრეტენდენტების მიმართ სამართლიანი მიდგომის შესახებ. ასევე პრეტენდენტებისა და პოტენციური პრეტენდენტებისთვის არ არის განჭვრეტადი შესყიდვის პროცედურის დასრულებასთან დაკავშირებული ვადები, რაც ართულებს დაინტერესებული მხარეებისთვის ტენდერში მონაწილეობის დაგეგმვის პროცესებს.

ამასთან ერთად, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას სს „საქართველოს რკინიგზა“ ითხოვს პრეტენდენტების ან ქვეკონტრაქტორების გამოცდილებას. ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერებში წარმოდგენილია მხოლოდ ქვეკონტრაქტორების გამოცდილება, რის შედეგადაც იმარჯვებენ პრეტენდენტები. შედეგად, კონტრაქტორები სამშენებლო სამუშაოების გამოცდილებას იღებენ ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯზე ისე, რომ შესაძლოა მათ მომავალში დამოუკიდებლად ვერ შეძლონ აღნიშნული სამუშაოების შესრულება, მაშინ როდესაც ისინი უკვე თავისუფლად შეძლებენ ტენდერის პირობების დაკმაყოფილებას გამოცდილების ნაწილში.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1: *სს „საქართველოს რკინიგზამ“ განიხილოს სპეციალური წესით შესყიდვების განხორციელებისას, პრეტენდენტთა მიმართ უფრო მეტად სამართლიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდვების სპეციალურ წესში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა, რომლითაც განისაზღვრება თუ რა ვადაში უნდა იმსჯელოს სატენდერო კომისიამ, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წინადადებების მიღების ეტაპზე სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შემთხვევაში აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ იქნას ასევე ყველა შემდგომი პრეტენდენტების მიმართ.*

რეკომენდაცია N2: *პრეტენდენტების მიერ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად, ქვეკონტრაქტორების შესრულებული სამუშაოების ხარჯზე, გამოცდილების მიღების თავიდან აცილების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზამ“ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შესაბამისი მექანიზმი (მაგ.: მინიმალური მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ პრეტენდენტი; სამუშაოთა მიღება-ჩაბარების დოკუმენტებში ფაქტობრივი შემსრულებლის მითითება და ა.შ.).*

რეკომენდაცია N3: *სს „საქართველოს რკინიგზამ“ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სერთიფიკატების ნამდვილობის დადგენის მიზნით შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო დოკუმენტაციასთან სრული შესაბამისობის დადგენას.*

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სს „საქართველოს რკინიგზის" (შემდგომში „კომპანია") ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4000).

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ კომპანიის 2015 წელს განხორციელებული შესყიდვები არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა კომპანიის შესაბამისობის აუდიტი, სადაც აუდიტის საგნად განისაზღვრა განხორციელებული შესყიდვები.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა კომპანიის 2015 წლის შესყიდვები[1].

[1] 2015 წლის სახსრებით განხორციელებული შესყიდვები

კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 25 დეკემბრის N706 დადგენილება სს „საქართველოს რკინიგზისა" და მისი წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების და ასეთი კომპანიების წილობრივი მონაწილეობით არსებული/დაფუძნებული კომპანიების საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ (შემდგომში „სპეციალური წესი").

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია რეკომენდაციების შესახებ.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

სს „საქართველოს რკინიგზის" დამფუძნებელი პარტნიორი და აქციების უმრავლესობის მფლობელი არის სახელმწიფო, წარმოდგენილი სს „საპარტნიორო ფონდის" სახით. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის" სამართალმემკვიდრეს.

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, რაც ძირითადად მოიცავს შემდეგ საქმიანობას:

- ტვირთების ტრანსპორტირება, მგზავრთა გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა;
- სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ოპერირება და მართვა;
- ახალი სარკინიგზო ხაზების პროექტირება და მშენებლობა;
- არსებული მატერიალური აქტივების მიზნობრივი ექსპლუატაცია და მართვა;

- სამხედრო-სარკინიგზო გადაყვანა-გადაზიდვების ორგანიზება და განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის მმართველობითი ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო.

კომპანია ფლობს სს „ჯორჯიან რეილვეი ქონსთრაქშენის" აქციების 100%-ს, ექვსი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების („ჯიარ ტრანზიტ ლაინი", „ჯორჯია ტრანზიტი", „ჯორჯიან ტრანზიტი", „რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი", „ტრანს კავკასუს ტერმინალი", „ჯიარ ტრანსშიფმენთი) 100% წილს და შპს „ნაციონალის" 1% წილს.

სს „საქართველოს რკინიგზის" მიერ 2012 წელს განხორციელდა 2010 წელს გამოშვებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული 250 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ფასიანი ქაღალდების (5 წლიანი ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთი 9.875%) გამოსყიდვა. იმავდროულად გამოშვებულ იქნა 500 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ფასიანი ქაღალდები და განხორციელდა მათი განთავსება კვლავ ლონდონის საფონდო ბირჟაზე, წლიური საპროცენტო განაკვეთით - 7.75%. აღნიშნული სასესხო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ბოლო ვადაა 2022 წელი.

კომპანის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0112, თამარ მეფის გამზირი N15.

შესყიდვები

აუდიტმა მოიცვა კომპანიის მიერ 2015 წელს სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული 521 ხელშეკრულება - 106,024,774 ლარის ღირებულებით[2]:

შესყიდვის ტიპი	რაოდენობა	%	ღირებულება	%
ტენდერი[3]	258	50%	40,847,396	39%
ელექტრონული პროცედურა[4]	140	27%	38,493,559	36%
გამარტივებული შესყიდვა	48	9%	16,159,446	15%
კონსოლიდირებული ტენდერი	8	1%	7,542,660	7%
ერთ პირთან მოლაპარაკება[5]	67	13%	2,981,713	3%
სულ	521		106,024,774	

[2] 2015 წლის სახსრებით გაფორმებულია 521 ხელშეკრულება, 106,024,774 ლარის ღირებულებით.
[3] გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ელექტრონული ტენდერი
[4] კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესით განხორციელებული ელექტრონული პროცედურა
[5] კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელებული შესყიდვა

პრეტენდენტების შერჩევა-შეფასების ვადები

კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესი არ ითვალისწინებს „წინადადებების მიღება დასრულებულია" სტატუსის მინიჭებიდან, თუ რა ვადაში უნდა იმსჯელოს სატენდერო კომისიამ შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წინადადებების მიღების ეტაპზე სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს.

შესყიდვების სპეციალურ წესში ზემოაღნიშნული ვადების არარსებობის გამო სხვადასხვა ტენდერებში პრეტენდენტებს დასაზუსტებელი დოკუმენტების შემდგომი მოძიებისა და წარდგენისათვის ფაქტობრივად ეძლევათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ვადები.

აღნიშნული სრულად არ აკმაყოფილებს კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესის მოთხოვნას[6], შესყიდვების განხორციელებისას პრეტენდენტების მიმართ სამართლიანი მიდგომის შესახებ. ასევე პრეტენდენტებისა და პოტენციური პრეტენდენტებისთვის არ არის განჭვრეტადი შესყიდვის პროცედურის დასრულებასთან დაკავშირებული ვადები, რაც ართულებს დაინტერესებული მხარეებისთვის ტენდერში მონაწილეობის დაგეგმვის პროცესებს.

რეკომენდაცია N1: *სს „საქართველოს რკინიგზამ" განიხილოს სპეციალური წესით შესყიდვების განხორციელებისას, პრეტენდენტთა მიმართ უფრო მეტად სამართლიანი მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით, შესყიდვების სპეციალურ წესში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა, რომლითაც განისაზღვრება თუ რა ვადაში უნდა იმსჯელოს სატენდერო კომისიამ, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წინადადებების მიღების ეტაპზე სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებს. პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შემთხვევაში აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ იქნას ასევე ყველა შემდგომი პრეტენდენტების მიმართ.*

ქვეკონტრაქტორების ხარჯზე მიღებული გამოცდილება

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას სატენდერო მოთხოვნას წარმოადგენდა პრეტენდენტის ან ქვეკონტრაქტორის გამოცდილება. ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერებში წარმოდგენილია მხოლოდ ქვეკონტრაქტორების გამოცდილება, რის შედეგადაც გაიმარჯვეს პრეტენდენტებმა. შედეგად, კონტრაქტორებმა სამშენებლო სამუშაოების გამოცდილება მიიღეს ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯზე.

ცხრილში მოცემულია ისეთი ტენდერები, სადაც პრეტენდენტებმა გაიმარჯვეს ქვეკონტრაქტორების გამოცდილების ხარჯზე:

---

[6] მუხლი 1, პუნქტი 2, „ბ" ქვეპუნქტი

SPA N	სამუშაოს დასახელება	კონტრაქტორი	ქვეკონტრაქტორი	სახელშ. ღირებ. (აშშ დოლარი)
SPA140030296	სამშენებლო სამუშაო	შპს „ელიტა ბურჯი"	სს "ხიდმშენი"	1,496,961.00
SPA150016387	სამშენებლო სამუშაო	შპს „ელიტა ბურჯი"	სს "ხიდმშენი"	1,223,681.00
SPA150000671	სამშენებლო სამუშაო	შპს „ელიტა ბურჯი"	სს "ხიდმშენი"	327,347.00
SPA150000673	სამშენებლო სამუშაო	შპს "სახარია"	სს "ხიდმშენი"	211,606.00

რეკომენდაცია N2: *პრეტენდენტების მიერ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად, ქვეკონტრაქტორების შესრულებული სამუშაოების ხარჯზე, გამოცდილების მიღების თავიდან აცილების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზამ" შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შესაბამისი მექანიზმი (მაგ.: მინიმალური მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ პრეტენდენტი; სამუშაოთა მიღება-ჩაბარების დოკუმენტებში ფაქტობრივი შემსრულებლის მითითება და ა.შ.).*

სხვადასხვა სახის შეუსაბამობები

- GEO150000350 ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილით[7] გათვალისწინებული პირობები განსხვავდებოდა სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილისგან. მიუხედავად ამისა, შემსყიდველს პრეტენდენტისთვის აღნიშნული განსხავავებების დაზუსტებისთვის არ მიუმართავს და წარმოდგენილი სატენდერო წინადადება მიჩნეულ იქნა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, რაც ეწინააღმდეგება კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესის მოთხოვნას[8]. თუმცა გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდა სატენდერო დოკუმენტაციის პირობებით.

ასევე, წინადადების უზრუნველყოფის გარანტია არ შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ვინაიდან ბანკი საგარანტიო თანხის ანაზღაურებას უზრუნველყოფდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი უარს განაცხადებდა ხელშეკრულების გაფორმებაზე მისსავე წარმოდგენილი ფასების ცხრილის პირობების გათვალისწინებით (რომელიც განსხვავდებოდა შემსყიდველის პირობებისაგან). აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა რისკი რომ ვერ დაკმაყოფილებულიყო კომპანიის შესყიდვების სპეციალური წესის მოთხოვნა[9] გარანტიის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

- ელექტრონულ პროცედურაში, (GEO150000009[10]), რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 3,559,424 ლარს, გამარჯვებული პრეტენდენტი სს „ელმავალმშენებელი" ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას ელმავლის წევის ძრავებზე კაპიტალური რემონტის ჩატარების არასათანადოდ გაცემული ნებართვის გამო. სატენდერო დოკუმენტაციით

[7] დანართი N1
[8] მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი
[9] მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი
[10] შესყიდვის გამოცხადება - 22.01.2014 წ.

მოთხოვნილი იყო ნებართვა (ატესტატი), ან სხვა ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან ტექნიკური დოკუმენტაცია სარკინიგზო ადმინისტრაციის მიერ დადასტურებული ან შეთანხმებული შესაბამის წევის ძრავებზე ან მსგავს ძრავებზე კაპიტალური შეკეთების შესრულების განხორციელების თაობაზე, რაზედაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული ნებართვა გაცემულია სს „ელმავალმშენებლის" მიერ იმ დოკუმენტების საფუძველზე[11], რომლებიც მომზადებულია ამავე ნებართვის გაცემის თარიღის[12] შემდგომ პერიოდში და შეთანხმებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან".

- ტენდერში (SPA150010368) გამარჯვებული კომპანიის მიერ წარმოდგენილი ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი N0006909 გაცემულია IATF-ის მიერ, თუმცა IATF-ის საძიებო სისტემაში ამავე ნომერზე ფიქსირდება სხვა კომპანია[13].

კომპანიის განმარტებით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებელი სატენდერო/საკონკურსო წინადადების წარმოდგენამდე ხელმოწერით ადასტურებს აფიდავიტის შინაარს და მის მიერ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტის უტყუარობას. შესაბამისად წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მიმწოდებელს. აფიდავიტის დარღვევა იწვევს კანონდებლობით გათვალისწინებულ სანქციებს.

რეკომენდაცია N3: *სს „საქართველოს რკინიგზამ" პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სერთიფიკატების ნამდვილობის დადგენის მიზნით შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო დოკუმენტაციასთან სრული შესაბამისობის დადგენას.*

[11] საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008 „მუდმივი დენის მაგისტრალური ელმავლების, ელექტრული აპარატების, ელექტრო ძრავების, მექანიკური ნაწილების პროექტირებისა და წარმოების შესაბამისობაზე - გაცემულია 2013 წლის 8 თებერვალს და მაგისტრალური ელმავლების ВЛ11-შესაბამისობის სერთიფიკატი UA1.110.0182500-13 - გაცემულია 2013 წლის 15 აგვისტოს

[12] 2013 წლის 23 იანვარი

[13] Couban Mobaddel Fard Co

აუდიტორთა ხელმოწერა

ქართლოს სახვაძე
(წამყვანი აუდიტორი)

ირაკლი ვაშაყმაძე
(უფროსი აუდიტორი)

მირიან შარიქაძე
(აუდიტორი)

სიმონ კიპაროიძე
(აუდიტორი)

გიორგი დავითაშვილი
(აუდიტორ ასისტენტი)